# ხელშეკრულება №14/07-01
# „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

გამარტივებული შესყიდვის საშუალება

თვითმმართველი ქალაქი ფოთი                                        14 ივლისი   2014 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი, დირექტორის კარლო კალანდაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ მისი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„დამკვეთი“ ავალებს და „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრს მომსახურება. კერძოდ, შენობის დერატიზაცია

მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **120 (ას ოცი ლარი ) ლარს, (1 კვ.მ- 0,20 ლარი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით** (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“.)

**შენიშვნა:** საქონლის შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (**კლასიფიკატორის კოდი 90923000** ).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც აქვთ მათ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- წინამდებარე ხელშეკრულება,

„დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულების ფასი“ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

“დამკვეთი”

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის
ბავშვთა ცენტრი
მის: საქართველო,ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №12
ს/კ №415084447

დირექტორი                    კარლო კალანდაძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს ლაბორატორიული
კვლევის ცენტრი
ს.კ 215139348
ლიბერთი ბანკი
GE12LB0113140194132000

დირექტორი                    გიორგი რუხაძე

# ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი, დირექტორის კარლო კალანდაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი" მისი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის მიერ მომსახურების შესყიდვა. კერძოდ შენობის დერატიზაცია

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია - ბიუჯეტის სახსრებით, თვითმმართველ ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის მიერ მომსახურების შესყიდვა. კერძოდ, შენობის დერატიზაცია

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება – ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება **შეადგენს 120 (ას ოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის ( მიღება-ჩაბარების აქტი, გამარტივებული ა/ფაქტურა)

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ეტაპობრივად, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება – ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება – უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით).

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღეში

6.4 ანაზღაურების ადგილია – თვითმმართველი ქალაქი ფოთი.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 14 ივლისიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

"დამკვეთი"

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი
მის: საქართველო,ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა №12
ს/კ №415084447

დირექტორი კარლო კალანდაძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს ლაბორატორიული კვლევის ცენტრი
ს.კ 215139348
ლიბერთი ბანკი
GE12LB0113140194132000

დირექტორი გიორგი რუხაძე